პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 268 (19110) ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XIX ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სამომხმარებლო კოოპერაციის XIX ყრილობის დელეგატებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა კოოპერატორს, უსურვებენ ახალ წარმატებებს კეთილშობილურ შრომაში.

XVIII ყრილობის შემდეგ გასული წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. 28,4 პროცენტით გაიზარდა საცალო საქონელბრუნვა, 84,8 პროცენტით — სამრეწველო წარმოების მოცულობა, 88,9 პროცენტით — მოგება, მნიშვნელოვანია კოოპერატორთა წვლილი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, მაღალი მთის სოფლების აღორძინებაში, მოსახლეობისათვის დამატებითი მომსახურების გაწევაში. მეტი ყურადღება ეთმობა სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საკითხებს: მათ განკარგულებაშია თანამედროვე მაღაზიები, რესტორნები, სავაჭრო ცენტრები. ახლებურად უდგებიან კოოპერატორები ბაღჩური ნარგავების განვითარებას, აქტიურად ითვისებენ ისეთ რთულ და მრავალმხრივ სფეროს, როგორიცაა კოოპერაციული ტურიზმი. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ კიდევ უფრო განვითარდა თვითმმართველობის საწყისები სამომხმარებლო კოოპერაციაში, აქტიურად დაინერგა ყოველდღიურ პრაქტიკაში სოციალისტური დემოკრატიის პრინციპები, მართვის ახალი პროგრესული ფორმები.

ამავე დროს ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებათა და რეკომენდაციათა შესრულება უპირველეს [illegible] ციაში მრავალი ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრას. ამ საკითხების გადაწყვეტას, როგორც საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წერილის განხილვამ ცხადყო, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები ყოველთვის როდი უდგებიან სახელმწიფო დისციპლინის და პარტიული პრინციპულობის პოზიციიდან.

„ჩვენი პარტიული გეზი მკაფიოა — უზრუნველვყოთ საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურებაზე დასაქმებული ეკონომიკის ყველა დარგისა და რგოლის დაჩქარებული განვითარება" — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს ეს განაწესი სამომხმარებლო კოოპერაციის მოქმედების სახელმძღვანელო, საიმედო ორიენტირი უნდა გახდეს ყველა პრაქტიკულ საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კოოპერატორები, მეპაიეთა უზარმაზარი, მილიონნახევრიანი არმია დღენიადაგ სრულყოფენ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, მთელ ძალ-ღონეს და ცოდნას მოახმარენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVII ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სეზესიტყვა თეატრსა და პოეზიას!

მთელ ჩვენს იდეურ აღმზრდელობით მუშაობაში ნიადაგ უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რომ სულ უფრო იზრდება სულიერი კულტურის როლი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

ე. შევარდნაძე.

მთიანი მხარის

რესპუბლიკაში ხორციელდება მთიანი რეგიონის განვითარების ვრცელი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა: მიმდინარეობს საერთო და საბინაო მშენებლობა, იგება კულტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კერები, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები, იქმნება სამრეწველო საწარმოთა ფილიალები, მოქმედებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების სამომხმარებლო კოოპერაციათა მეურნეობები.

ჩქეფს ცხოვრება ომალოსა და ბარისახოში, სამთაწყაროსა და პერემში, გარეჯსა და შატილში.

აღორძინება

სურათებზე: ვერტმფრენავი შატილში; ომახიანი ხიმღერები გაისმის ძველი შატილის კედლებთან; მთაში ახალი ცხოვრების მკაფიო დასტური სატელევიზიო კომპლექსი ბარისახოში.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მსჯელობენ სამომავლო ამოცანებზე

გაიხსნა საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის XIX ყრილობა

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

თიანეთი: ზამთრის თადარიგი

მთათა სამხრეთ კალთებზე გაშლილ თიანეთის რაიონში ზამთარი მკაცრი იცის (თოვლი, ყინვა და სუსხი თითქმის 6 თვეს გრძელდება) ...

ბ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გამოიცა ცნობარი

მეგობრობის განსამტკიცებლად

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშვება-არჩევნები

გამოითქვა შენიშვნა, რა გაკეთდა?

გვატყობინებენ „კომუნისტის", საქდესისა და საქინფორმის კორესპონდენტები

გავაძლიეროთ შრომითი აქტიურობა

ლანჩხუთის რაიონის ხოჯელ აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიემ, ახალგაზრდა კომუნისტმა მაია ვადაჭკორიამ ერთი წლით ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის პირადი ხუთწლედი.
მან მოკრიფა 26 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლმა, რომელსაც მაია ხელმძღვანელობს, მიმდინარე სეზონში მოკრიფა 70 ტონაზე მეტი ნედლეული — გეგმით გათვალისწინებულზე ათი ტონით მეტი.
სურათზე: მაია ვადაჭკორია.
ი. ჟოსონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფინელი რკინიგზელები თბილისში

„კომუნისტი" ეძებს რეზერვებს

ტყვარჩელის შახტების ახალი სიცოცხლე

ელექტრულ-გამომთვლელი მანქანების სიკეთე

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ამიერკავკასიის ქირურგთა ყრილობა

პრობლემა ● უმაღლესი სკოლა: ფიქრები ხვალინდელ დღეზე

ნაბიჯი ... რეპეტიტორისაკენ?

ქართულ ენასა და ლიტერატურაში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების საფიქრალი საკითხის გამო

ნათელა ორბელიძე.

კომუნისტი გაზეთი

პუბლიკაციათა კონკრეტულობა, გამიზნულობა, ქმედითობა

ორგანიზატორული უნარის ამაღლებით

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები საკვირაო მიმოხილვა

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი

ბუქარესტი. ქალაქ პიტეშტის სავტომობილო ქარხანა რუმინეთის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. ქარხნის კოლექტივმა გულთბილად მიიღო რუმინეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის მუშაობაში მონაწილე სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. შჩერბიცკის მეთაურობით.

ქარხანაში გაიმართა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხალხმრავალი მიტინგი. აქ გამოვიდნენ საწარმოს წარმომადგენლები, რომლებმაც ილაპარაკეს ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ, აღნიშნეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხალხთა ინტერესების სასიკეთოდ მისი განვითარების პერსპექტივები.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

როდესაც ჩვენი დელეგაცია ბუქარესტს მოემგზავრებოდა, თქვა მან, სკკპ ცენტრალური კო-...

...თიანებული მეცადინეობის მეოხებით დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმების გზაზე, განისაზღვრა თანამოქმედების გრძელვადიანი მიმართულებანი, დადასტურდა სოციალისტურ სახელმწიფოთა კოლექტიური ნება—განამტკიცონ თავიანთი ერთიანობა და შეკავშირება. ეკონომიკური თათბირის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია უდავოდ შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მრავალმხრივი ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებასაც.

ისტორიული გამოცდილება, თქვა შემდეგ სკკპ დელეგაციის მეთაურმა, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა შეესაბამება საბჭოთა და რუმინელი ხალხების ძირეულ ინტერესებს. საბჭოთა და რუმინელი ხალხების მეგობრობა მტკიცდებოდა და იწრთობოდა საერთო ბრძოლაში რუმინეთის სრული განთავისუფლებისა და ფაშისტური რეჟიმის საბოლოო განადგურების...

...

თანამშრომლობის გაღრმავების ახალ სასიკეთო პერსპექტივებს გვისახავს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ამასწინანდელი უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის გადაწყვეტილებანი. ...

...ჭოთა ადამიანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, აღნიშნა წარმატებანი, რომლებსაც სსრ კავშირი აღწევს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

ამჟამად ქვეყანაში, თქვა მან, მიმდინარეობს პარტიის მორიგი ...

...ობის ინტერესები.

ამის პასუხად ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ერთიანობას, ყველაფერს ვიღონებთ, რათა უზრუნველვყოთ თითოეული სოციალისტური ქვეყნის, მთელი ჩვენი თანამეგობრობის განუხრელი განვითარება.

ბრძოლისა და გამოცდის წლები

22 ნოემბერი ლიბანის დამოუკიდებლობის დღეა

ყოველი წლის 22 ნოემბერს ლიბანელი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს, მაგრამ საკმაოდ დიდი ხანია ეს დღესასწაული ქვეყანაში შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში იმართება. ოცდაათ წელზე მეტია, რაც შეერთებული შტატები და მისი მოკავშირე ისრაელი ხელს უშლიან მდგომარეობის სამართლიან მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში, არაბული ქვეყნებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცადინეობას ამ მიმართულებით და რეგიონში თავიანთი ჰეგემონისტური ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ახორციელებენ. ამ პოლიტიკამ წელსაც მრავალი მარცხი განიცადა. ვაშინგტონისა და თელ-ავივის მმართველმა წრეებმა ვერც დიპლომატიისა და ვერც პირდაპირი სამხედრო ჩარევის გზით...

...მელსაც დაევალებოდა ლოზანაში მიღებული გადაწყვეტილებების ხორცშესხმა.

ვაშინგტონსა და მის მოკავშირეებს, ცხადია, არ აკმაყოფილებთ ლოზანაში მიღწეული შეთანხმებები. დასავლეთის პრესა მათ „უნაყოფოს" უწოდებდა, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ლიბანის სხვადასხვა პოლიტიკურ და რელიგიურ ძალებს შორის ჯერ კიდევ არსებული წინააღმდეგობისა, ლიბანში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად რეალური ნაბიჯები გადაიდგა — შეიქმნა ეროვნული ერთიანობის მთავრობა პრემიერ-მინისტრის რაშიდ კარამეს მეთაურობით, რომელშიც შევიდნენ სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენლები, მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, შეიცვალა ლიბანის არმიის ხელმძღვანელობა, შეიქმნა სამხედრო...

...ბლობა. ამ პროექტის განხორციელება ისრაელს 18 ათასი დოლარი დაუჯდება. ამასთან ისრაელი კიდევ უფრო აძლიერებს ტერორსა და რეპრესიებს მის მიერ ოკუპირებულ ლიბანის ტერიტორიაზე. ფრანგული გაზეთი „მონდი" წერდა, რომ სამხრეთ „ლიბანი დიდ ციხედ გადაიქცა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იქიდან გამოსვლა ისევე ძნელია, როგორც შესვლა". ისრაელის პოლიტიკის შედეგად ლიბანის 800 ათასი მცხოვრები იზოლირებული აღმოჩნდა თავისი ქვეყნის დიდი ნაწილისაგან. ისრაელი ცდილობს ეკონომიკურადაც დაიმორჩილოს ლიბანის სამხრეთი რაიონები. ლიბანელი ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ ოკუპირებულ ზონაში შეაქვთ დიდძალი ისრაელური საქონელი. ყოველივე ეს აშკარად მოწმობს, რომ ისრაელის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე სა-...

...

ამ წლის ოქტომბერში შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა კიდევ ერთი პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღეს სამხრეთ ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანის თაობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური ხრიკი იყო. ისრაელი არ აპირებდა და არც აპირებს უარი თქვას ტერიტორიულ პრეტენზიებზე ლიბანის მიმართ. „უსაფრთხოების ღონისძიებები", რომლებსაც ჯარების გაყვანის სანაცვლოდ ლიბანისაგან მოითხოვენ, ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონისა და თელ-ავივის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას ემსახურება. თვით ისრაელის საინჟინრო ჯარების მეთაურმა გენერალმა ი. კოგენმა განაცხადა, რომ ისრაელმა ლიბანის ტერიტორიაზე ბუქას დაბლობზე დაიწყო თავდაცვის ახალი ზღუდის მშენე-...

ჯ. ძნელაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თბილისის № 31 ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის რკინიგზისათვის ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებასა და აღზრდაში დიდი წვლილისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის № 31 ტექნიკური სასწავლებელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 20 ნოემბერი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცი წლის დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ამხ. იური სერგის ძე გაგლოითი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

მოიწონეს ინიციატივები

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა (პოლიტიკური საკითხები და უშიშროების საკითხები, მათ შორის განიარაღება) დაიწყო თავის მუშაობაში ასახვული ...

...მოწონებულია ისეთი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები, როგორიცაა წინადადებანი ბირთვული შეიარაღების გაყინვის, გამოყენებული ბირთვული შეიარაღების ...

...ლებს მოკავშირეთა მცირე ჯგუფმა, რამაც მთელი სიცხადით წარმოაჩინა ვაშინგტონის პოზიცია, რომელიც განიარაღების მიზნით მოლაპარაკებისათვის ყალბი „მზადყოფნით" ნიღბავს თავის მისწრაფებას ხელი შეუშალოს საერთაშორისო გაერთიანების მთელ მეცადინეობას მისი რეალური მიღწევისათვის.

● ინგლისი

რეპრესიების ძველებური პოლიტიკა

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის კონსერვატორთა მთავრობის მეთაურმა მ. ტეტჩერმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს განაგრძოს ძველებური რეპრესიული პოლიტიკა ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ. ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში გამოსვლისას მან გააქვთა ინფორმაცია ირლანდიის პრემიერ-მინისტრ გ. ფიტცჯერალდთან მოლაპარაკების შესახებ, რომლის ძირითადი თემა იყო ოლსტერში შექმნილი მდგომარეობა და ხაზი გაუსვა, რომ მისი კაბინეტი არ აპირებს რაიმე არსებითი ცვლილებები შეიტანოს თავის პოლიტიკურ კურსში.

კონსერვატორთა პოზიცია მკაცრად გააკრიტიკა ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ნ. კინოკმა. მთავრობის იმჟამინდელ ლიდერს ხელი შეუწყოს ოლსტერის პრობლემის გადაწყვეტას, თქვა მან, უარყოფითი დაღი დაასვა ამ შეხვედრის შედეგებს.

კონსერვატორთა მმართველობა აღინიშნა ჩრდილოეთ ირლანდიაში სამხედრო-პოლიტიკური რეპრესიების მკვეთრი გააქტიურებით. ერთი მხრივ, ინგლისის „უშიშროების ძალებს", ოლსტერის სამეფო პოლიციასა და მეორე მხრივ კათოლიკურ უმცირესობას შორის „გამოუცხადებელი სამოქალაქო ომის" მსხვერპლი ყოველთვე ხდება ათობით ჩრდილოირლანდიელი. ოლსტერში თანასწორი მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ ოფიციალური ლონდონის სანქციით იყენებენ დათრგუნვის სულ უფრო დახვეწილ იარაღს, იღებენ ახალ რეპრესიულ კანონებს.

ფოტოფაქტი

დღევანდელი ამერიკის ნამდვილი სახე

საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური „მექს" რაკეტის გამოცდის დროს (სურათზე). მარშან პირველი 21 ასეთი რაკეტის შესაქმნელად დაწყებული სამუშაოები წელსაც გრძელდება, რისთვისაც 1 მილიარდი დოლარია გამოყოფილი.

და ეს მაშინ, როცა სტატისტიკის თანახმად, შეერთებულ შტატებში 35 მილიონი ამერიკელი მოქალაქე „სილატაკის ზღურბლსაც" ვერ აღწევს, 4 მილიონი უსახლკაროა, 8 მილიონზე მეტს სამუშაო არა აქვს.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონი განაგრძობს სოციალური პროგრამებისათვის ასიგნებათა შემცირებას და გულუხვად აფინანსებს პენტაგონს.

სურათზე: უსახლკარო ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაში.

● ინდოეთი

შეიპყრეს ტერორისტები

დელი. ინდოეთის უშიშროების ძალებმა ცხარე შეტაკების შემდეგ ...

ირან-ერაყის ფრონტზე

ბაღდადი. ერაყის სამხედრო-...

ნიკოზია. როგორც ირანის ...

უჩვეულო საათი

ნოემბრის პირველი ორი კვირა მოსკოვში, ჩვეულებრივ, ავდრიანი, წვიმიანი, უმზეო დროა ხოლმე. მაგრამ მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების ჭეშმარიტ მოყვარულთ ამ ორმა ავდრიანმა კვირამ მიანიჭა უნიკალური შესაძლებლობა შეეგრძნოთ სამხრეთული მზის ცხოველი სითბო, გადაეყვანა შორეულ ქვეყნებსა და დროში, გახადა წილნაყარი და თანამონაწილე სხვადასხვა დროის ადამიანთა ჭირისა და ლხინისა... ეს გახლდათ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები.

ერთ-ერთი უმთავრესი შთაბეჭდილება გახლავთ უცვლელად ყველა დადგმის მუსიკალური მხარის ძლიერება და მხატვრული დამაჯერებლობა. სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის ჯანსუღ კახიძის დიდი ხანია ხელეწიფება წარსულის სიმფონიური მემკვიდრეობისა თუ თანამედროვეობის ურთულესი პარტიტურები, ამ სწორუპოვარი მაესტროს ავტორიტეტს აბსოლუტურად არ სჭირდება დასტური და კვერის კვრა. და მაინც ისინი, ვინც პირველად იხილა ჯანსუღ კახიძე საოპერო სპექტაკლის პულტთან, ალბათ დარწმუ-

...ემა ორკესტრისა და სოლისტებისათვის, — ტყუილად კი არ არიან ამ სპექტაკლში ორკესტრის მუსიკოსები ავანსცენის სიღრმიდან ამოყვანილნი და ზეაწეულნი, თავიანთ როლებს მომღერალთა დარად რომ ასრულებენ, — არამედ ვერდის „ტრუბადური". ვერდის ოპერების ინსტრუმენტული ქარგა ბევრი მაესტროსათვის ქცეულა დაბრკოლების ლოდად; მაგრამ ეს „ტრუბადური" სულ სხვა რამ იყო. კახიძე, თითქოს საკუთარ თავში დიდ იტალიელთან რაღაც გენეტიკური მუსიკალური მოყვრობა აღმოაჩინაო (ვერდის მელოდიებს ხომ თბილისელები ყოველთვის აღიქვამდნენ თავისეულად, ორგანულად ახლობელი რომ არის საქართველოს ქალაქური სასიმღერო კულტურისათვის), შთაგონებით ამღერებდა თავის ორკესტრს, უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ მელოდიურ გამომსახველ ინტონაციას და უხვად აჯილდოებდა მსმენელს განთქმული არიების უბადლობით. ყველა სპექტაკლის მუსიკალური

სამუდამოდ დაგვამახსოვრდება

მაგრამ ჩვენი ნაამბობი იმ შთაბეჭდილებებზე, მოსკოველებს რომ არგუნა საგასტროლოდ ყოფნისას თბილისის ოპერის თეატრმა, სრული არ იქნებოდა, რომ არ მოგვეხსენიებინა სპექტაკლების მხატვრული მთლიანობის სხვა შემადგენელი კომპონენტები. როგორ არ აღვნიშნოთ, მაგალითად, გუნდის ბრწყინვალე ნამუშევარი (კონსულტანტი ი. დუმბაძე, მთავარი ქორმაისტერი ა. ჩხენკელი), ასე ორგანულად რომ შეერწყა ორატორიულ-ლიტურგიულ ეპიზოდებს ოპერაში „იყო მერვესა წელსა..." ანდა, ბავშვთა ქოროზე „...და არის მუსიკაში?" ანდა, როგორ არ აღვნიშნოთ დასის მომღერალთა ჭეშმარიტად „ვირტუოზული" შემადგენლობის ცალკეული ნამუშევრები. ვნებებით შეპყრობილი, სიბრძნის ქენჯნით გაუმებული ბორის გოდუნოვი, ემბაკე, მოხერხებული ლეპორელო, „ინფერნალუ-

ტატიანა დიდენკო,

მოსკოვის ჰირველმა შემოდგომამ მოულოდნელად შეხოჭა გუბეები ყინულის საფარით, ჭარბლით აპრელა სარკმლის მინები. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სპექტაკლებზე კი ჭეშმარიტად „აფრიკული" ვნებები ღუღდა, იქმნებოდა ატმოსფერო, რომელიც მხოლოდ მომეტებული ემოციური გრადუსით თუ განიზომებოდა. სსრ კავშირის მრავ-

მრავლისმთქმელი აღიარება

...ს სამემსრულებლო მოღვაწეობის თავისებურება, იმპროვიზატორული მსახიობის ნიჭი უცილობლად გულისხმობს არასტერეოტიპულ მიდგომას თემების შერჩევისა თუ გამოსახვის მოძღვენო საშუალებათა ძიებაში. მაგრამ

...ხლავთ „ბოლერო" ჟ. გერშვინის მუსიკის მიხედვით (მ. ოძელის მუსიკალური რედაქცია), ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა" და პ. ჩაიკოვსკის „სერენადის" ჯორჯ ბალანჩინისეული დადგმა. თავიანთი გამომსახველი საშუალე-

...სითულითა და კანტილენურობით, ნახაზების წრფელი სიმკაცრითა და სისადავით, არამედ ნეოკლასიკის ინტერპრეტაციის სტილურობით, ცეკვის ლირიკული წყლობითა და სულიერი სიღრმით. ამაში ულევად დიდი ღვაწლი მი-

...ნამედროვეობა. ახალგაზრდა დამდგმელის მიერ ბრწყინვალედ მიგნებული ახლებურად წაკითხული პროლოგი და ეპილოგი ორგანულად აერთიანებენ ხუთ საცეკვაო ლუდს ერთიან ქორეოგრაფიულ ტილოდ.

...ნა ფარდა და სცენის სიღრმიდან ნელ-ნელა წამოვიდა მეხლებით რამბისაკენ ბორგი —ლავროვსკი. მოცეკვავის შიშველი, ლამაზი დაკუნთული ტორსი თითქოს ხაზს უსვამდა გმირის ტრაგიკული მდგომარეობის უსამართლობას.

...სავს და გამირავს რომანტიკული პირობების პირას მიყვანილი დრამატიზმით, გაშიშვლებული ნერვის საოცრად მაღალი ჟღერადობით.

სპექტაკლის ეს მეფერქავი ნერვი მოჩანს და იგრძნობა თითოეუ-

...აზროვნების თვითთავადობა, მაღალი შეფასება მისცა დასის სოლისტებისა და კორდებალეტის ხელოვნებას მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

იური ტიურინი.

მოსკოვი.

ურალური ლიმონები

ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის სასათბურე მეურნეობაში, რომელსაც 21 ათასი კვადრატული მეტრი უჭირავს, მოჰყავთ ბოსტნეული და ციტრუსები. სითბოსმოყვარული ლიმონის პირველი ნერგები ურალში ჩამოიტანა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა ბ. ვ. სარჯველაძემ. ისინი აქაურობას კარგად შეეთვისნენ და უკვე წელს ელიან პირველ მოსავალს.

სურათზე: პროფესორი ბ. სარჯველაძე და სასათბურე მეურნეობის მმართველი ვ. ბაკულოვი ქარხნის ლიმონარიუმში. სითბოს მოყვარულ მცენარეებს აქ დახურულ გრუნტში დათმობილი აქვთ 1500 კვადრატული მეტრი.

ბ. კლიმენიცკის ფოტო (საქეხის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

მსოფლიო ოლიმპიადაზე

მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადაზე, რომელიც საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიმდინარეობს მეორე ტურში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა კანადის ნაკრები. გამარჯვება მოიპოვა სემიონოვამ, ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ჩიბურდანიძემ და ლევიტინამ.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების მეტოქე იყო კოლუმბიის ნაკრები, ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა.

ამ ტურის ზოგიერთი სხვა მატჩი ასე დასრულდა: **ქალთა გუნდებს შორის:** ბულგარეთ-საფრანგეთი — 3:0, კუბა-ზიმბაბვე — 3:0, იტალია-ჰონკონგი, — 3:0, იუგოსლავია-შვეიცარია — 2,5:0,5, უნგრეთი-დანია — 0:2 (1). **ვაჟთა გუნდებს შორის:** ინდონეზია-გერ — 2,5:1,5, კანადა-შოტლანდია — 2,5:1,5, კუბა-არგენტინა— 2:2, ინგლისი-ესპანეთი — 2:1, აშშ-ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — 1,5:1,5; უნგრეთი-ავსტრალია — 0,5:0,5 (3).

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: „არარატი"-„სპარტაკი" — 1:2, „ფახთაქორი"-თბილისის „დინამო" — 3:0, მოსკოვის „დინამო"-„ნეფთჩი" — 2:3, „ზენიტი"-„მეტალისტი" — 4:1, მინსკის „დინამო"-„დნეპრი" — 0:1, როსტოვის ასკ-მოსკოვის „ტორპედო" — 2:4, კიევის „დინამო"-ცსკა — 2:1, „ჩერნომორეცი"-„ყაირათი" — 2:1.

დარჩა ერთადერთი შეხვედრა, რომელიც 24 ნოემბერს გაიმართება. ამ დღეს როსტოველი არმიელები უმასპინძლებენ „სპარტაკს".

სამბო. შეჯიბრების მთავარი პრიზი—მსოფლიოს თასი მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამას წინათ ვენესუელის ქალაქ პუერტო-ლა-კრუსში გამართულ ტურნირში. ჩვენი ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. შანგარაევი (ალმა-ათა), ა. მუსაბეკოვი (ჯამბული), ვ. როჟკოვი (კრასნოკამსკი), ს. ადიგეზალოვი (ტერმეზი), ვ. კრივონოგოვი (გომელი), ნ. ზუევი (სვერდლოვსკი), მ. რამაზანოვი (მინსკი), ვ. პაშკინი (მოსკოვი), მ. კოკორინი (ლენინგრადი) და ვ. შკალოვი (ბარნაული).

უქანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობაზე ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის ოცდამეექვსე პარტია. ეს შეხვედრა ოცდამეორე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე

რობერტ გრიგოლის ძე ასლამაზაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მოსკოვი

22 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მხატვრული კოლექტივების გამოსვლა. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სუზდალი". 10.05 — მხატვრული ტელეფილმი „მკვდარი სულები". მესამე სერია. 11.25 — აშკარა — დაუჯერებელი. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. „მეხუთე ზღვარი". 16.10 — კონცერტი. 16.55 — ახალი ამბები. 17.05 — „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ!". 18.05 — სამედიცინო სკოლა. 18.35 — „კონცერტ-რომანსი" მღერის ვ. ვუიაჩიჩი. 19.00 — „...თქვენმა წლებმა და უფროსი ასაკისა". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. შრომა — საზოგადოება — ადამიანი. 20.40 — მხატვრული ტელეფილმი „მკვდარი სულები". მეოთხე სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „ირაკლი აბაშიძე". 23.30 — დღეს მსოფლიოში. 23.45 — მ. გლინკა — „ვალსები, მაზურკები".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ნ. ვ. გოგოლი — „რევიზორი". მე-7 კლასი. 10.05 და 13.35 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ასტრონომია. 11.35 და 12.40 — ზოოლოგია. მე-7 კლასი. 12.00 — ოჯახი და სკოლა. 12.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.05 — ისტორია. მე-9 კლასი. 14.05 — ფ. კუპერის ცხოვრება და შემოქმედება. 14.50 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მოწმე". 16.15 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — კონცერტი. 19.30 — ჩვენი ბაღი. 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.20 — კალათბურთი. ქალები. ცსკა — ლენინგრადის „სპარტაკი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „მეცნიერების მსხვერპლი". 23.45 — ახალი ამბები.

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — ჩვენს დიდ სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნოვგოროდი". 10.40 — ფილმ-სპექტაკლი „ვარშავული მელოდია". 12.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეფუტკრე". 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (სტუდია შია მ. კაჭარავა). 13.30 — ახალი ამბები. 13.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მხედრები". 16.05 — ახალი ამბები. 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (სტუდიაშია მ. დობტურაშვილი). 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემდეგ მთამდე". 17.05 — მოსწავლეთათვის—„გააკეთეთ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად" (გადაცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან). 18.05 — ახალგაზრდობისათვის — „მეორე პროფესია". 18.30 — განცხადებები. 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლია გაკვეთილი". 19.05 — „სიმღერა-84", საკონკურსო გადაცემა. 19.25 — საბჭოური ცხოვრების წესი — „უბრალო პროფესიის ადამიანები". 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — სატელევიზიო ფესტივალი „ეკრანზეა კინოკომედია" — მხატვრული ფილმი „ბედნიერი კომედია" 22.00 — „ვრემია". 22.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ირაკლი აბაშიძე" (მ.). 23.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: ტაშკენტის „ფახთაქორი"—თბილისის „დინამო". 21 ნოემბრის შეხვედრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 00.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — კინოჟურნალი „მინდა ვეცოდინო ყველაფერი". 17.15 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა. 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნაკრძალი მოკვდება". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07499 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზარის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, გამოდის ოთხშაბათს ჩვეული, საგაზეთო ქორვები, სოფაკევლის 29.